ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

მისამართი: თბილისი, ა. მაჭავარიანის ქ. №4

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
GPB.GE

ბატონო გიორგი,

თქვენი ა/წ 1 აპრილის №OPD04/13-132 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ როგორც ცნობილია, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ყოფილი გენერალური დირექტორის ბ-ნი გიორგი ბარათაშვილის სარჩელთან დაკავშირებით აღძრულ საქმეზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 04.03.2013წ. გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობას დროებით ასრულებს ბ-ნი გიორგი ბაქრაძე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ნ" პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში (ადმინისტრაციულ ორგანოში) დაცული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა [*"საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირები. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27(დ)*] პერსონალური მონაცემების გარდა.

"საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის 2(2) მუხლის თანახმად, ამ კანონის IV თავის მიზნებისათვის ტერმინში "თანამდებობის პირი" მართალია იგულისხმება ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, მათ შორის სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ხელმძღვანელი, მაგრამ კანონის ამავე IV თავის მიზნებიდან გამომდინარე, კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ვალდებულია 2013 წლის 4 მარტიდან (აღნიშნული მოვალეობის ოფიციალურად შესრულების დღიდან) ორი თვის ვადაში წარუდგინოს საჯარო სამსახურის ბიუროს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, რა ვადაც დღეის მდგომარეობით გასული არ არის.

გამომდინარე აქედან, "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის 2(2) მუხლის თანახმად, ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ საჯარო გახდება მას შემდეგ, რაც მის მიერ საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილი იქნება თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. შესაბამისად, ამ ეტაპზე მოკლებული ვართ საშუალებას წარმოგიდგინოთ თქვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია.

პატივისცემით,

დიმიტრი ბერძენიშვილი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

№ 1239/02 5 04 2013

მ. კოსტავას 68, თბილისი, 0171, საქართველო
68 M. Kostava Str., 0171, Tbilisi, Georgia; Tel./Fax: +995 32 2409 115 / 2409 221; E-mail: info@gpb.ge